



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

ალექსანდრე კვახაძე

სადავო საზღვრები ჩრდილოეთ კავკასიაში და მისი გამოძახილი
საქართველოში

2019

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
2019

უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიაში აქტუალური იყო რესპუბლიკათა შორის ადმინისტრაციული საზღვრების დაზუსტების საკითხი. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა შორის დადებულმა ხელშეკრულებამ, რომლის მიხედვითაც ჩეჩნეთმა სადავო ტერიტორიების დაახლოებით 26 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი მიიღო, ხოლო ინგუშეთმა კი - 1 ათასი ჰექტარი, ინგუშეთში პროტესტის მთელი სერია მოჰყვა. მართალია, გადაცემულ ტერიტორიებს შორის არ იყო დასახლებული პუნქტები, მაგრამ პროტესტმა მნიშვნელოვნად გაზარდა დაძაბულობა ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის. ყოველივე ამან უკვე წამოჭრა ჩეჩნეთსა და დაღესტანს შორის ადმინისტრაციული საზღვრების დემარკაციის საკითხი, რამაც დაღესტანის საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. შეშფოთების მიზეზი კი ის არის, რომ ჩეჩნეთისათვის სავარაუდოდ გადასაცემი ტერიტორიის დიდ ნაწილს დაღესტნელი ფერმერები საძოვრებად იყენებენ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საინტერესოა, რამდენად არსებობს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე სასაზღვრო დავების საქართველოში გადმოსვლის საფრთხე.

საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის 6 სუბიექტს, კერძოდ კი, დაღესტანს, ჩეჩნეთს, ინგუშეთს, ჩრდილოეთ ოსეთს, ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთს ესაზღვრება. საქართველო-რუსეთის საზღვრის უდიდესი ნაწილი გავლებულია ბუნებრივ ზღუდეზე - კავკასიის წყალგამყოფ ქედზე, თუმცა საქართველოს ისეთი რეგიონები, როგორც არის ხევი (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), არხოტის ხეობა, პირიქითა ხევსურეთი (დუშეთის მუნიციპალიტეტი) და თუშეთი (ახმეტის მუნიციპალიტეტი), კავკასიის წყალგამყოფი ქედის მეორე მხარეს მდებარეობს. შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს რეგიონები კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილშია მოქცეული, რაც ზრდის კიდევ მათ მოწყვლადობას. საქართველო-რუსეთის საზღვარი დღემდე არაა დემარკირებული და ამდენად, საკმაოდ დიდია საზღვრების თვითნებურად გადაწევის რისკი. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მცოცავი ოკუპაციის გარდა, ამგვარი პროცესი საქართველო-რუსეთის საზღვარზეც ხდება.

თუშეთი - ამ რეგიონში, რუსეთ-საქართველოს საზღვრის მახლობლად, პრობლემურია ჭანჭახოვანის ხეობაში მდებარე სოფლები ჭერო და ინწუხი. ისტორიულად, ეს სოფლები თუშებით იყო დასახლებული, მაგრამ მე-19 საუკუნეში დაიცალა. აღნიშნული ტერიტორიები რუსეთის ფედერაციას, კერძოდ კი, დაღესტანის რესპუბლიკის დიდოელებით დასახლებულ წუნტის რაიონს ესაზღვრება. 1993-1995 წლებში ამ სოფლებში მორიგეობით


პატრულირებდნენ რუსი და ქართველი მესაზღვრეები, 1996 წლიდან კი ამ ტერიტორიის აქტიური პატრულირება ქართული მხარის მხრიდან აღარ ხდებოდა. 2006 წელს ქართველ და რუს მესაზღვრეებს შორის ინციდენტიც კი მოხდა, რის შემდეგაც ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იქ პატრულირება აღარ განეხორციელებინა.¹



ხეცსურეთი - 2000 წელს არხოტის ხეობაში რუსეთმა საზღვარი გადმოსწია, სადაც ნასოფლარი ფიჭვები მოექცა. ამ შემთხვევის შესახებ მწირი ცნობები გვაქვს. რამდენადაც ცნობილია, საზღვრის გადმოსაწევად რუსულ ფედერალურ ჯარებს მთელი მანევრის ჩატარება დასჭირდათ. ეს გადაწყვეტილება ჩეჩნეთის ომით იყო ნაკარნახევი - რუსეთის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ჩეჩენი მებრძოლები ფიჭვებთან არსებულ ბილიკებს საქართველოს ტერიტორიაზე გადასასვლელად იყენებდნენ და ამის გასაკონტროლებლად ფიჭვების საგუშაგოზე რუსი მესაზღვრეები ჩადგნენ და იქ დღემდე რჩებიან.²

¹ მთის ამბები (2018). *როდის და როგორ მოექცა თუშეთში ჭერო და ინჯუხი რუსეთის კონტროლქვეშ*. ხელმისაწვდომია: <https://www.mtisambebi.ge/news/people/item/792-rodish-da-rogor-moeqza-tushetshi-cheroda-inxuxi-rusetis-kontrolqvesh> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)

² „რადიო თავისუფლება“ (2002). *საქართველოს საზღვრის შეუთანხმებელი მონაკვეთები*. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1525521.html> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)



ყაზბეგის მუნიციპალიტეტი - 1998 წელს რუსმა მესაზღვრეებმა ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან საზღვარი თვითნებურად გადმოსწიეს.


ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი - 2018 წლის 28 ივნისს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში საქართველო-რუსეთის დაღესტნის მონაკვეთზე რუსმა მესაზღვრეებმა ორი ქართველი მესაზღვრე გაიტაცეს, თუმცა რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს.³

³ reginfo (2018). ლაგოდეხის რაიონში რუსმა სამხედროებმა ქართველი მესაზღვრე გაიტაცეს. ხელმისაწვდომია: <https://reginfo.ge/people/item/8009-lagodexis-raionshi-rusma-mesazgvreebma-origartveli-mesazgvre-gaitazes> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)



ონის მუნიციპალიტეტი - ონის მუნიციპალიტეტში მდებარეობს მამისონის უღელტეხილი, რომელიც საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან აკავშირებს. 2010 წელს რუსმა მესაზღვრეებმა დაიკავეს ამ უღელტეხილზე მდებარე მეტეოროლოგიური სადგური, სადაც ადრე ქართველი მესაზღვრეები პატრულირებდნენ. აღსანიშნავია, რომ ძველი საბჭოთა რუკების მიხედვით, მამისონის უღელტეხილის ნაწილი შედიოდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებში, თუმცა მეტეოროლოგიური სადგურის დაკავების შემდეგ ადგილზე რუსი მესაზღვრეები პატრულირებენ.⁴

⁴ „რადიო თავისუფლება“ (2010). *რა ხდება მამისონის უღელტეხილზე?* ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/2038614.html> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)



აიბგა - საზღვარი გადმოიწია ოკუპირებულ ტერიტორიებზე. გაგრის მუნიციპალიტეტისა და კრასნოდარის მხარის საზღვრის მონაკვეთზე მდებარეობს სადავო ტერიტორია აიბგა, რომლის ადმინისტრირებას არალიარებული რეჟიმი ახორციელებდა. ამ ტერიტორიას იკავებდნენ დე ფაქტო მესაზღვრეებიც. 2014 წელს კი ნასოფლარი აიბგა რუსეთის მესაზღვრეებმა დაიკავეს. აიბგას დაკავებას აფხაზურ საზოგადოებაში მწვავე პროტესტი მოჰყვა.⁵ ისტორიულად, აიბგაში ცხოვრობდნენ აფხაზები, რომლებიც მე-19 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში გადაასახლეს.

საზღვრები და რამზან კადიროვი - ადმინისტრაციული საზღვრების საკითხი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერის - რამზან კადიროვის უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. რესპუბლიკის საზღვრების საკითხს კადიროვი საკუთარი პოლიტიკური პროექტის განმტკიცების მიზნით იყენებს. კერძოდ, იგი ცდილობს საკუთარი თავი „ჩეჩნური მიწების შემომკრებლად“ წარმოაჩინოს. ჩეჩნეთ-ინგუშეთის

⁵Kavkazskiy Uzel (2014). *Aibga - Spornaya Territoria Mezhdru Rossiei i Abkhaziei*. ხელმისაწვდომია <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/253312/> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)

ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავშირებული უკანასკნელი მოვლენები ცხადყოფს, რომ კადიროვს ამ საკითხში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისგან აქვს სრული მხარდაჭერა. ჯერჯერობით არც კადიროვს, არც მის რომელიმე ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველო-რუსეთის ჩიჩნეთის მონაკვეთის დემარკაციასთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებია. თუმცა, კადიროვს არაერთხელ გამოუთქვამს საქართველო-ჩიჩნეთის დამაკავშირებელი გზის აღდგენის სურვილი. მან ითუმ-ყალბს რაიონში სასაზღვრო ინფრასტრუქტურაც კი მოინახულა, სადაც გზის მშენებლობის საკითხს გაეცნო.⁶



თრუსოს ხეობა - საქართველოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზია გამოთქმული აქვს არაერთ ოს ნაციონალისტს, როგორც ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ისე ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკაში. კერძოდ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე თრუსოს ხეობასთან დაჯავშირებით. თრუსოს ხეობაში იყო ოსური სოფლები, თუმცა მე-20 საუკუნეში მოსახლეობის უმეტესობამ ხეობა დატოვა და ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლდა. თრუსოს ხეობა ესაზღვრება როგორც ჩრდილოეთ ოსეთს, ისე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ჯავის მუნიციპალიტეტს. არც ერთ ამ რეგიონს თრუსოს ხეობასთან სამანქანო გზა არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ, თეორიულად, ხეობის ოკუპაციის


⁶ ChGTRK Grozny (2015). *Ramzan Kadyrov Posetil Pogranzastavu na Granitse Chechni i Gruzii.*

ხელმისაწვდომია <https://www.youtube.com/watch?v=wNI3GNobM-Q> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)

შემთხვევაში, მთელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ოკუპაცია მოხდება. ოსურ ნაციონალისტურ ვებგვერდებზე არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, რომ მთელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (მათ შორის კობისა და გუდაურის) არის უძველესი ოსური მიწა, რომელიც მოხსენიებული იყო, როგორც „აღმოსავლეთ ოსეთი“.

საზღვრების საკითხი და ეთნიკური შუღლი - კავკასიის რეგიონში საზღვრის ცნებას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, რუსეთის სპეცსამსახურები შეეცდებიან საქართველოსა და მეზობელ კავკასიელ ხალხებს შორის საზღვრების საკითხის წინ წამოწევით მათ შორის შუღლის ჩაგდებას. მსგავსი პროვოკაციები განსაკუთრებით მოსალოდნელია ქართულ-ჩეჩნური მიმართულებით. რუსეთის მხრიდან საზღვრების გადახედვის ნებისმიერი განცხადება მკვეთრ რეაქციას გამოიწვევს როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ საზოგადოებაში. მეტიც, პანკისის ხეობაში ბოლო პერიოდში მომხდარი დაპირისპირება სამართალდამცავებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის რუსეთის პროპაგანდას შეუძლია გაასაღოს, როგორც ქართულ-ქისტური ეთნოკონფლიქტი და ხელი შეუწყოს შუღლის გაღვივებას. ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა სოციალურ მედიაში და სხვადასხვა ყალბი გვერდებისა თუ ანგარიშების მეშვეობით ვრცელდება მსგავსი სახის დეზინფორმაცია.

გარდა ჩრდილოეთ კავკასიისა, რუსეთის პროპაგანდას შეუძლია საქართველოსა და მის სამხრეთ კავკასიელი მეზობლების საზღვრების საკითხი წინ წამოსწიოს და უკვე სახელმწიფოებს შორის გაამწვავოს ურთიერთობები. სულ ბოლო მოვლენების დროს, როდესაც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი ჩაკეტეს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში, სხვადასხვა ულტრამემარჯვენე და ქსენოფობიური ჯგუფი გააქტიურდა. მსგავსი პროპაგანდაა მოსალოდნელი სომხეთ-საქართველოს საზღვრის მიმართულებითაც, სადაც ჰუჯაბის მონასტერს დღესდღეობით სომეხი მესაზღვრეები აკონტროლებენ. პრობლემატურია აგრეთვე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სიღნაღის მუნიციპალიტეტის მონაკვეთი, სადაც სოფელ ერისიმედის რამდენიმე სახლი სადავო ტერიტორიაზე მდებარეობს.



გარდა ამისა, ქართულ მედიასა თუ სოციალურ ქსელებში აქტიურად ვრცელდება ყალბი ამბავი იმის შესახებ, თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთს 6 ჰექტარი მიწის ფართობი გადასცა. სინამდვილეში, ადგილი ჰქონდა მდინარე ჯაყისწყლის კალაპოტის შეცვლას, რომელმაც თურქეთის ტერიტორიის ნაწილი საქართველოს მხარეს მოაქცია. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდა აღნიშნული მონაკვეთის ხელახალი კორექტირება და მდინარის კალაპოტის ღერძის ხელახალი დაკვალვა. მიუხედავად ამისა, ბევრმა ქსენოფობიურმა და პრორუსულმა ორგანიზაციამ, როგორც არის, მაგალითად, „ცენტრისტები“, მოახდინა ფაქტების მანიპულაცია და ეს ამბავი გაასაღა, როგორც „ქართული მიწების თურქეთისთვის გადაცემა“, რისი მიზანიც ანტითურქული განწყობების გაღვივება იყო.⁷

მედიაში პერიოდულად ვრცელდება აგრეთვე ცნობები ჰუჯაბის მონასტრის შესახებ, რომელიც საქართველო-სომხეთის საზღვრის სადავო მონაკვეთზე მდებარეობს. დღეისათვის მონასტრის ტერიტორიას სომეხი მესაზღვრეები აკონტროლებენ. ხუჯაბის საკითხის წამოწევისას ასევე ხდება ანტისომხური განწყობების გაღვივება.⁸

საქართველოს გარდა, საზღვრების დემარკაციის საკითხი აზერბაიჯანსაც შეეხო. 2010 წლის სექტემბერში, რუსეთ-აზერბაიჯანის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, აქამდე რუსეთის, კერძოდ, დაღესტნის, რესპუბლიკის კონტროლქვეშ არსებული ეთნიკური ლეზგებით დასახლებული ორი სოფელი - ხრაბ-უბა და ურიან-უბა გადაეცა აზერბაიჯანს, რამაც ლეზგებს შორის ანტიაზერბაიჯანული განწყობების განვითარებას შეუწყო ხელი.⁹

დასკვნა

ამრიგად, ბოლო თვეებში ჩრდილოეთ კავკასიაში განახლებულმა ტერიტორიულმა დავებმა მნიშვნელოვნად გაამწვავა ეთნოსთაშორისი ურთიერთობები. მიუხედავად სადავო ტერიტორიების მცირე მასშტაბისა, საზღვრის ცვლილების ნებისმიერი პროცესი კავკასიის რეგიონში მტკივნეულად აღიქმება. ამის დასტურია დავით გარეჯთან დაკავშირებული ვნებათაღელვა.

⁷Factcheck (2017). საქართველომ თურქეთს 6 ჰა მიწის ნაკვეთი გადასცა. ხელმისაწვდომია <https://factcheck.ge/ka/story/28371-saqarthvelom-thurqeths-6-ha-mitsis-nakvethi-gadastsa> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)

⁸Timenews (2019). 2012 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გადაცემული მიწები სომხეთის და თურქეთისთვის, რომელიც როგორც ამბობენ, დიდსულოვნად დაუთმეს. ხელმისაწვდომია <http://timenews.ge/2826-2012-.html> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)

⁹Kavkazskiy Uzel (2019). Vlasti Otchitalis o Pereselenii Vsekh Zhiteley Khrakh-Uba i Uryan-Uba. ხელმისაწვდომია <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/330441/> (ნანახია 2019 წლის 17 მაისს)

ამას ემატება ის ფაქტიც, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარი არაა დემარკირებული, რაც რუსეთს შესაძლებლობას აძლევს საქართველოზე დამატებითი ზეწოლა მოახდინოს. რაც შეეხება საქართველოს სამხრეთ მეზობლებთან არსებულ სადავო ტერიტორიებს, საქართველოს ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, უნდა იზრუნოს მოსახლეობის სწორად ინფორმირებაზე და ყალბი ამბების განეიტრალებაზე, ხოლო მეორე მხრივ კი, უნდა მოერიდოს მეზობელ სახელმწიფოებთან ამ სადავო საკითხების პედალირებას და სანაცვლოდ, უნდა იმუშაოს სადავო ტერიტორიებზე მოქცეული კულტურული ძეგლების მონახულებისათვის ერთობლივი მექანიზმების შექმნაზე.

რუკები დაამზადა რონდელის ფონდის სტაჟიორმა ფრედერიკ ბუტზმა.